

კადაქსია: სოლოლაკზე, ბლის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43
კანტორა კადაქსიისა: მელიქიშვილის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე.

ხელის-მღწერა: მიიღება კანტორაში. ბარეზე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. Въ редакцію газ. „Дროага“.

გაზეთის უასი: მთელს წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ყოველ დღე ორგაბათს გარდა

განცხადება: მიიღება კართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.
უასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთხრობით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

დროება

ცალკე ნომერი ღირს უაურათ

კადაქსიას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ტელეგრაფები

ბრძოლის ველიდან

(ოფიციალური)

გორნი სტუმენ, 25 აგვისტოს. 23 აგვისტოს ოსმალელები მიკრედად ლოცხას მოაწვევენ; მაგრამ ოთხი საათის სროლის შემდეგ, უკან დაებრუნეთ. იმავე დღეს ოსმალეები მღენას მახლობლად დაგვეცნენ, მაგრამ აგრეთვე უკუ-ქცეულნი იყვნენ.

24 აგვისტოს ოსმალის დიდ-ძალი ჯარი მოაწვა რუსჩუკის ატრიადს ძაცელოვთან დაწებულ აბლაგამდინ. ძაცელოვთან იმათის მხრით იყო 15 ბატალიონი ქვევითა, 18 ესკადრონი (ცხენოსანი) 23 ზარბაზნით და ამას გარდა, ბრძოლის დროს, იმათ თან-დანთან ემატებოდათ ახალი ჯარები. ჩვენის მხრით კი იყო: 5 ბატალიონი, 8 ესკადრონი არტილერიით. მარჯვეთ ვიყავით; მაგრამ, 6 საათის გაცხარებულის ბრძოლის შემდეგ, იძულებული შევიქვენით, რომ დიდის ზიანით უკან დავეწვია ოსტრიცისკენ. ჩვენს აბლაგის ატრიადს აგრეთვე დიდ-ძალი ოსმალის ჯარი მოაწვა, მაგრამ აქ კი ჩვენ დავსწიეთ ისინი უკან. ამას გარდა რუსჩუკისკენვე ოსმალეები მოგვაწვევენ ჩვენ ძადიკოიში პანკოიში.

ბალკანისავე მშვიდობიანობაა. სულეიმან-ფაშა შაზანლიყშია, საცა თავის ჯარს აახლეებს.

ლოცხის ადების დროს ჩვენის მხრით 1,000 კაცი გვეყავს მოკლული და დაჭრილი. ოსმალეებსაც დიდი ზიანი მიეცათ; ჩვენ დავატყვევეთ ასამდინ დაჭრილი ოსმალის სალდათი.

ლონდონი, 25 აგვისტოს. აქაური გაზეთები ამბობენ, რომ ლოცხის აღება რუსებისაგან დიდი დამარცხება არის ოსლებისათ. ბაზეთი „Times“ თხოუ-

ლობს, რომ ინგლისი, სხვა სახელმწიფოების დათანხმებით, გაერიოს ამ ომის საქმეში.

ვენა, 25 აგვისტოს. ბაზეთს „Tagblatt“-ს ბელგრადიდან (სერბიიდან) სწერენ, რომ ბელგრადის ყველა სოფლის საზოგადოებათა გამოაცხადესო, რომ იმათ ომი არა ჰსურთო; რადგანაც სკუპსჩინამ შეკრა ოსმალეთთან მორიგების პირობა, ამიტომ სამინისტროს, ხალხის წარმომადგენლების ხელ-ახლად დაუკითხავად არა აქვს უფლებაო, რომ უცხო სახელმწიფოსთან კავშირი იქონიოსო.

ლონდონი, 26 აგვისტოს. ლორდ ლერბიმ წარმოსთქვა გუშინ ლივერპულში სიტყვა, რომელშიაც სხვათა შორის შემდეგი მოიხსენა:

„ზერ არ დამდგარა ისეთი დრო, რომ სხვა სახელმწიფოებს შეეძლოს მშვიდობიანობის ჩამოსაგდებელი წინადადება წარუდგინონ შებრძოლ მხარეებს; მაგრამ მოვა დრო, როდესაც შუამდგომლობა საქირო იქნება და მაშინ ინგლისი იკისრებს ამ მოვალეობას.“

ომის აზრები

აზიის ბრძოლის ველიდან

არტანნი, 18 აგვისტოს. („დროების“ კორრესპ.). ბუშინ ვიყავ ლინიაზედ. დამიღამდა, შევებრუნდი სოფელ მეირამში. მეირამი არის 35 ვერსზედ არტანზედ, ახალქალაქის გზისკენ, არტანიდან მიმავალს მარჯვენა მხარეს დარჩება, მალეობ ადგილას, ხევის პირზედ.

ამ სოფელში ცხოვრობს თხუთმეტი კომლი კაცი სულ ოსმალე.

ხალხმა კარგათ მიმიღო. მაგრამ ძალიან ჩივოდნენ თავიანთ ჩინოვნიკებზედ და იმათ კანონებზედ; ამბობდნენ:

„შველა კაცმა წელიწადში თითო ცხვარში თითო აბაზი უნდა აძლიოს; ვინც ხარს, ძროხას, ცხენს და სხვ. გაჰყიდის, თითოში ერთი მანეთი სახელმწიფოს უნდა მისცეს, ერთ ურემ თივაში ერთი მანეთი; მოსავალ ჭირნახულისა: პურის, ქერის, ბრინჯის და სხვ. მეთერთი წილი. და ამითი კიდევ არ დასჯერდებიან ხოლმეო: მოვლენ ჩინოვნიკები

დასჭირნახულს შუაზედ გვიყოფენო; კომლობით კი არა, რამდენი კაციც არის ოჯახში, იმდენი მანეთი წელიწადში; ბევარზედ უნდა წაყიდნენ რამდენჯერაც წაიყვანენ. ამას გარდა ჩინოვნიკები კიდევ იღებენ ჩვენგანა დიდ ქრთამებს: ისე საქმე რამე საჩივარი არ გარიგდება, რომ საწყალ ვლეს კაცს არ წაართონ რამე.“

ამ მხარეზედ საზოგადოთ ბევრი თათრები ცხოვრობენ ჩვენ ადგილიდან გადმოსულნი, ახალქალაქის, ახალციხის უფლებიდან და სხვა უფლებიდან შალაქის და შუთაისის გუბერნიისა. ჩემ კითხვაზედ:—რათ გადმოვიდნენ ოსმალეთში? იმათ თქვეს, რომ იქ ცოტა ადგილი იყოფო და აქ ბევრი...“

არდანიუჯიდან, ოლთისიდან და სხვა სოფლებიდან ვაჭარი ხალხი ბევრია აქ; აქეთ დუქნები, ზოგი თერძიკობს, ზოგი ვაჭრობს, მიდიან, მოდიან, მოიქვთ სხვა-და-სხვა ხილი, ყურძენი, ატამი, შეინდი და ბევრი სხვა ხილი, აგრეთვე არაყი, რომი და სხვ. აქ ახლომანლო სოფლებში არ არის ბაღები.

ოსმალის სამხედრო მთავრობას ესლა ამ სოფლების პირში დაუყენებია ყარაულები და ვინც გაივლის ან გამოივლის, იჭერენ და ჰკლამენ, მითომ იმისთვის რომ ეს ხალხი (სომხები) უტანენ რუსებს ამბებს იმათზედა და იმათი ჯარის ამბებს ატყობინებენო.

ამბობენ, მითომ ამ სამის დღის წინათ ოლთისიდან ექვსი ათასი ცხენოსანი ოთხი ზარბაზნით აპირებდნენ არტანზედ დაცემას დამე...“

სხვათა შორის ერთი სომეხი ვნახე აქ, რომელიც რუსულს კარგად ლაპარაკობდა. იმან მიამბო, რომ ის 1854—55 წლის ომის დროს იყო მილიციაში, როცა მურავიოვი კამანდობდა; მე და ვერეთვე სხვა ბევრიც მოვხვდით ტყვეთაო. სამი წელიწადი ვიყავი ციხეში ნახევარზედ მშვიდო. სამ წელის უკან გამომიშვეს, შემართეს ცოლი და თავიანთ რჯულზე ციხეშივე გადამაქციესო და დამასახლეს აქ სოფელშიო; მას აქეთია აქა ვცხოვროფო; ამ ცოლიდან მყავს ორი შვილი—ქალ-ვაჟი. მე თითონ კი პლექანდრეპოლიდან ვარ, დამრჩა იქ

ცოლი და ხუთი ვაჟისშვილიო, რომლებიც ესლა სულ ცოცხლები არიანო და კარგი შეძლებაც აქეთო. მინდოდა ბევრჯერ გაზარვა, მაგრამ პოლიცია ყურს მიგდებდაო. მხლა კი ავიყვან ამ შვილებსა და ცოლ და სოფლის ჩუშათ გავიპარებო პლექსანდრეოლში ცოლ-შვილთანაო.

არტანში და ახლო სოფლებში ქართული გვარები აქეთ თათრებსა, იმათში ბევრია: აბაშიძეები, სხვეთაშვილები და სხვა ბევრი; ეგ სულ არიან გათათრებული ქართველები.

ამ ყამად აქ სრული მშვიდობიანობაა; არსადგან არა ჩანს ოსმალოს ჯარის დაძვრა ამ მხარისაკენ. ამბობენ, რომ მუხთარ-ფაშა აპირებსო დაცემას არტანხედ. მაგრამ ამას მარტო ამბობენ, მართალი კი არავისა ჰგონია....

დ. თუსარგლოვი

ბუშინ არც სამხლვარ გარეთისა და არც რუსეთის ფოჩტა არ მოსულა ჩვენს ქალაქში და ამიტომ მკითხველი მოგვიტოვებს, თუ საკმაო ახალ ამბებს ვერ ნახავს „ბრძოლის ველიდამ“ ამ დღე-ღანდელს ნომერში.

ოზურგეთიდან გეწერენ, რომ შობულეთიდან გადმოსული 250 სული მცხორებელი, რომელნიც მთავრობამ ბუჩიაში, თ. იასე ბუჩიელის მამულში (სოფელ ბაიალეთში) დაასახლა, ცუდს მდგომარეობაში არიანო: მომეტებულ ნაწილს იმათგანს ლუკმა-პური არა აქვთ საჭმელათაო, თუმცა მთავრობისაგან ფულით შეწევნა მოუვიდათო, უსახლკაროთ ჰყრიან გარეთ, ცის ქვეშ, რაც მოხდებდათ, იმას სკამენ, და ამის გამო ამ უკანასკნელ ხანებში საშინლად დარევია იმათ მუცელა და სხვა ავადმყოფობა და უმოწყალოთ იხოცებიანო....

შადგილო არ იქნება, რომ აქვე მოვიყვანოთ შემდეგი გარემოება: ოსმალეთიდან გადმოსახლებულ სომხების შესაწევნელად თფილასში შემდგარ კომიტეტმა და აგრეთვე მთავრობამ გაგზავნა შრეენის გუბერნიაში უფ. ი. ს. ხატისოვი იმ განზრახვით, რომ დახედოს იქ ზემოხსენებული სომხები, შეიტყოს იმათი მდგომარეობა და თუ საჭიროთ დაინახოს, შემწეობაც მისცეს (რომლისთვის უფ. ხატისოვის 3,000 მან. გაატანეს).

ღენერალი ჩერნიავეი ამ დღეებში დაბრუნდა პლექსანდრაპოლიდან და, როგორც ამბობენ, პიატიგორსკში წასულა სააქიმოთ.

მეოცის ბრძოლის ველიდამ

ამ თვის 18-ს შარახანსაკიოსთან ღენერალ ლეონოვს 9,000 კაცით ფიცხელი შეტაკება ჰქონია ოსმალოს ჯართან, რომელიც 12,000 ყოფილან. მსოფელი ხან ერთ მებრძოლეს ხელში გადადიოდა თურმე და ხან მეორესი. ბოლოს, როგორც თვითონ ღენერალ ლეონოვი იწერება, ის იძულებული ყოფილა, რომ ბრძოლის ველი მტრისთვის დაეთმო და თავის ჯარი უკან დაეწია. უკან დაწევის დროს რუსის ჯარს თავის 400 დაჭრილი კაცის წამოყვანა მოუსწერიათ.

19-ს ოსმალებს დიდ ძალი ჯარი მოუგროვებიათ ბაღოვოსა და პოპკიოს შუა რუსჩუკიდან და რაზგრადს მიმავალს მოსსხედ. აქ შეტაკებას მთელიან.

ზრანტუზულს „Le Temps“-ში დაბეჭდილი დეპეშა გვაცნობებს, რომ 19 აგვისტოს ბორნი-სტუდენში მოსულა მეჰმედ-ალი-ფაშისაგან გამოგზავნილი პარლამენტორი, რომელსაც რუსის ჯარის მთავარ სარდლისათვის წარუდგენია მეჰმედ-ალის ბრძანების პირი, რომ ოსმალოს ჯარმა არამცა-და-არამ არ გაბედოს წითელი-ჯვრის საზოგადოებისაგან გამართული ლაზარეთების ხელის ხლება და აგრეთვე მშვიდობიანი მცხოვრებლების ტყვედ წაყვანა და შეურაცხყოფა.

ვენის ეაზეთს „Deutsche Zeitung“-ს მოუვიდა ბუხარესტიდამ ცნობა, რომ სულეიმან-ფაშა ხელს იღებს შიპკოს გასავლის აღებაზედაო და ჯარიც მოჰყავს იქიდანაო. ძალიან საეჭვოა ეს ამბავი...

ლონდონის „Daily Telegraph“-ში დაბეჭდილია შემდეგი 12 აგვისტოს სტამბოლიდამ მიღებული დეპეშა:

„რუსების საქმე აქეთკენ კარგათ ვერ მიდის. ოსმან-ფაშა, რომელსაც ჩილიპოპოლიდამ და სოჭიიდან ახალი ჯარები მოუვიდა და ახლა წინ წაწევას და რუსების თავს-დასხმას აპირებს. მეჰმედ-ალი-ფაშას არმია მსკი-ჯუშაისკენ იწევს და სულეიმან-ფაშას კი ყველა ბაღკანის გადასავალი გზები უჭირავს გარდა შიპკოსა.“

ლონდონის „რეიტერის სააგენტოში“ იწერებია, რომ ინგლისის პოლკოვნიკმა ჩრეზერმა და სამმა ინჟინერმა დაათვალიერეს სტამბოლის გარშემო და ახლო-მახლო გამაგრებული ალაგები და ციხეები და დარწმუნებით გამოაცხადესო, რომ ამ ქალაქს მტერი ვერ მიაღება და ვერა ძალით ვერ აიღებსო.

საქართველო

დღიური

* * ჩვენ გვთხოვენ ვაზეთში გამოცხადოთ, რომ ჰავლაბრის ყაზარმებში მდგარ ზოგიერთი სალდათები უწესობას ახდენენ ამ უბანშიო. უხვდებიან ქუჩებში ხალხს, სულ ტყუილ-უბრალოთ ჩხუბს აუტეხენ და სცემენო; ხშირად დუქნებში შედიან, ვაჭრობენ და ფულს არ იძლევიანო.

ამ დღეებში, სხვათა შორის, უფ. მ. ჩ-ძისაგან მივიღეთ წერილი, რომელშიაც გეწერს, რომ ჩემთვის წყნარად, მშვიდობიანად მოვიდოდი ჰავლაბარშიო; უცრად ვილამაც საშინლად მათრახი დამკრა კეფაშიო. მივიხედე გარეტიანებულმა და ენახეო, რომ ორი სალდათი დამდგომია თავზე და საშინლად მლანძღავენ. ბაუსხლტი ამათ ხელიდამ წაველ პოლიციაში; მაგრამ დესიატნიკმა მითხრა, რომ მე მაგათ ხელს ვერ ვახლებ, ამის წინაზე მე თვითონა მცემესო. შემდეგ იმათ უფროსს ძოღბესთან მიველ და ვმადლობ, მოისმინა ჩემი საჩივარი და იმათ დასჯას დამპირდა...

* * დიდის სიამოვნებით ვბეჭდავთ ჩვენ ამ ქვემო მოყვანილ გამოსარჩლებას სილნალის პრისტავის თ. ა. მაჩნაძისას, რამელსაც ერთი ჩვენი კორრესპონდენტი ზოგიერთ შეუსაბამო ქცევას აბრალებდა. შეიძლება ცუდი რამ დაიბეჭდოს ვაზეთში ზოგიერთ პირებზე: შეიძლება ეს ცუდი სრულიად მართალი არ გამოდგეს, რადგან არცერთ რედაქციას იმდენი ღონის-ძიება არ მოეპოვება, რომ ყველა ფერი, რასაც სხვა და სხვა ალაგებიდამ მოიწერებია, გამოიძიოს და დარწმუნდეს იმის სინამდვილეში ანუ სიმტყუნეში. მაგრამ თუ ბოლოს ჰქმმარტება აღმოსჩნდება ეს რედაქციისათვის სასიამოვნოა და ის სიამოვნებით გაასწორებს თავის უნებლიე შეცთომილებას. აი ეს შენიშვნა.

თავიდან ბოლომდინ სიცრუეა ის გარემოება ქალის შესახებ, რომელიც თქვენს ვაზეთში იყო ამას წინათ უფ. ა. მაჩნაძეზე დაბეჭდილი. როგორც მე დამარწმუნეს, მაჩნაძეს ის დედაკაცი მარტო მაშინ ენახა პოლიციაში, როდესაც პატრონებთან გასაგზავნად რამდენსამე პირს გამოუყვანია; ის დედაკაცი ცალკე კი არა, ღამით ერთს თავის ნაცნობს დედა-კაცთან იყო. ამას დანამდვილებით იმიტომ მოგახსენებთ, რომ ის დაჭერილი დედა-კაცი ჩემს მეზობლად იყო ერთ საწყალ დედა-კაცთან შეფარებული, და იმიტომ დაიჭირეს, რომ ის მოჰყავდა სილნალში გასასყიდათ იმ ხელობის ვაჭარს, რომელსაც სილნალში კარგათ იც-

ნობს პოლიცია. ამ გვარი ვაჭრები იშვიათი არ არიან აქ; პრისტაიე მანძაძე სდევნის მათ, რადგან ძლიერ საძაგელი ჭირი გადაედვა მაგვარ ღელ-კაცებიდან აქაურ ახალგაზღობას.

* * * სიღნაღილამვე გვეწერენ, რომ ამას წინათ იქაურს კლუბში, კარტის თამაშობის დროს, ერთ ცალ-ფეხა და ერთ ცალ-მკლავა კაცს ლაპარაკი მოსვლიათ ერთმანეთში და მერე ჩხუბი; ლანძღვა-გინება ბევრი დანარჯულა, ერთს სილა უგემებია, მეორეს სკამი დაურტყამს პოსლიკა თავში და სისხლიც დაუქცევია...

ამ სიღნაღის კლუბზე საზოგადოთ დიდ უწესოებას გვეწერენ; კლუბს 900 მანეთამდი კაპიტალი აქვსო, მაგრამ სად არის და რაში იხარჯება, კაცმა არ იცის, დეჟურნობა არ არის, გაუწყნარებელი აყალმაყალი და უწესოება სუფევსო...

* * * მრთი გურული, სოფ. ბახვის მცხოვრები გვეწერს, რომ 1870 წლამდინ ჩვენი სოფელი ერთს მრევლს შეადგენდაო და ამ წელს ჩვენი სამრევლო ორად გაჰყვეს და მე მღვდელს ლ. შ-ძეს მიმაწერესო. მაგრამ წელს, 19 აგვისტოს, ჩემის დის ტირილზე უეცრად გამოჩნდა მეორე ჩვენი სოფლისვე მღვდელი ბ. შ-ძე და მითხრა, მე უნდა მაწირინოვო. ბოლოს შევტყუე, რომ სხვებთანაც მისულა ამავე წინადადებით და ამის გამო ჩვენს სოფელში არის ახლა ერთი არევი-დარევა და უწესოება. მითხრეთო, ამბობს ბოლოს კორრესპონდენტი, რომ გავგანაწილონ ამ ორ მღვდელ შუა, თორემ ამ უბედურების დროს, როცა ამდონი ხალხა იხრცება ჩვენში მუცელისაგან, შეიძლება უარესი საძაგლობა მოხდესო.

უცხო ქვეყნები

ოსმალეთი

ოსმალეთის პარლამენტი ინგლისის სტამბოლელი ელჩი უფ. ლეიარდი თავის ტელეგრამაში 2 ივნისიდან უცხადებს ბრიტანიის მმართველობას, რომ არ დაესწრო ოსმალეთს პარლამენტის ერთს სხდომაზე და აგვიწერს ამ პარლამენტს შემდეგის სიტყვებით:

„ბასულ კვირას მე დავესწარ ოსმალეთს დეპუტატებს სხდომაზე, რომელზედაც ამ ჟამად მეროპაში ზოგიერთნი ლაპარაკობენ დაცინვით და ზიზლით. იმედი მაქვს, ნებას მომცეთ ესთქვა რამდენიმე სიტყვა ამ სხდომაზე.

როცა მე შევედი პალატაში, დეპუტატებს სჯა ჰქონდათ ერთ მუნიციპალური კანონზე. მე ძალიან კარგა მესმის ინგლისურ საზოგადო პრების საქმე და დარწმუნებით შემიძლია ესთქვა, რომ

ჯერ არც ერთხელ არ შევხვედრივარ მათდ ასეთ დალაგებულ და ჰქვიან სჯას, როგორიც აქ ენახე. შევლა წვერს შეუძლია ლაპარაკი თუნდა თავის სკამიდან, თუნდა ტრიბუნიდან, როგორც საფრანგეთშია. შევლა დეპუტატებმა სიტყვა თავისი ალაგიდამ წარმოასთქვეს, გარდა ერთის ბერძენის დეპუტატისა.

„მათი სიტყვა იყო მოკლე და ყველანი საქმეზედ ლაპარაკობდნენ; იმათ გაარჩიეს ხსენებული კანონების პროექტის ყველა მუხლები ცალ-ცალკე, ჰკითხავდნენ ყველა კანონის ახსნას იმ მიხედვით, რომელთაც წარმოუდგინეს ეს პროექტი კრებას, და რასაკვირველია ყველა მუხლი იყო საფუძვლიანად გარჩეული და ახსნილი. ბოლოს ხმის უმრავლესობით დაამტკიცეს ეს პროექტი.

შველა დეპუტატს სათითაოთ ჰქონდა მუნიციპალური კანონების დაბეჭდილი პროექტი და ყველანი დიდის გულმოდგინებით ყურს ადევნებდნენ სჯას.

„არც ერთი საზოგადო კრება არ არის თითქმის მთელს მეროპაში, რომ ასე თანხმობით და პატივისცემით ეპყრობოდნენ წევრები ერთმანეთს, როგორც ოსმალეთის კრებაში. მნახე ქრისტიანები და მაჰმადიანები გაურჩევილსხედან ერთათ.

„მაჰმადიანებში არიან ბევრი მოკლეები და ყორანის პროფესორები თავიანთ ცანთ-საცმელში. მრთი არაბიც თავის ნაციონალურ ტანისამოსით იყო კრებაში. ქრისტიანების ორატორები, რომელნიც მომეტებულს ნაწილს შეადგენენ კრებაში, მოსმენილნი იყენენ დიდის მოთმენით და ყურადღებით. ისინი ლაპარაკობდნენ თავისუფლად და არაფინ არ ეწინააღმდეგებოდათ მათ.

„პრების თავსმჯომარემ მარტო ერთს ორატორს გააწყვეტინა სიტყვა, ისიც მაშინ როცა ის ორატორი სალაპარაკო საგანს გადასცილდა.

„რადგან პარლამენტი გვაძლევს დაუმოკიდებლობისა და მამულის-მოყვარეობის მაგალითს, ამის გამო დიდი იმედი გვაქვს ჩვენ ამ ოსმალეთის პარლამენტისა მომავალში. მითონ ოსმალეთის ცხარე მომხრეებსაც კი იმედი არ ჰქონდათ, რომ ეს ახალი საქმე ასე სამაგალითოდ და კარგად წავიდოდა აქ.“

ნარკვი

მრთმა ინგლისელმა დოქტორმა, სახელად რიჩარდსონმა, დაბეჭდა ამას წინათ სტატია, რომელშიაც მოხსენებული იყო ყველა ის პირობები, რომელნიც ადამიანის ჯან-მთვლობას უფუჭებენ და სიცოცხლეს უმოკლებენ. ამასთანავე მოიყვანა აგრეთვე ფანტაზიური აღწერა იმ ქალაქისა, რომელშიაც ხალხს შეუძლიან გვიანდელ დროს განსაზღვრონ და დიხანს გაძლება; მოხსენებული იყო ყველა ის პირობები, როგორც სახმელი, როგორი სახლები და ქუჩები, როგორი ჰავა და საზოგადოთ სხვა ყველა გიგნური პირობები უნდა იყოს ამ ქალაქში, რომ კაცმა დიდხანს და თითქმის უავთმყოფოთ გასძლოს.

როგორც ზევით მოგახსენეთ, ეს ქალაქი ფანტაზიური ქალაქი იყო.

მაგრამ ახლა ინგლისში შესდგა კამპანია, რომელმაც ამ ფანტაზიის განხორციელება დააბრა; კამპანია აპირებს დოქტორის რიჩარდსონის პლანით, ახალი ქალაქის აშენებას სუსექსის მაზრაში, ზღვის ნაპირას, რომელსაც ერქმევა სახელად „ბიგოკაპოლისი“ (გიგინის-ქალაქი) და რომელშიაც დაცული იქნება ყველა პირობანი, რომელსაც გიგინა თხოულობს ადამიანის ჯანმთვლობის შენახვისა და სიცოცხლის გავრცელებისათვის.

რალა თქმა უნდა, რომ ამ მომავალ ქალაქში დასახლების მსურველნი ბევრნი აღმოჩნდებიან...

* * * მრთმა სან-შრანჩესკოელმა ამერიკელმა მოიგონა ისეთი ტელეგრაფი, რომლის საშუალებითაც, როგორც ამბობენ, მეოთხედი საათის განმავლობაში შეიძლება თურმე მთელი ფურცელი რომელიმე დიდის გაზეთისა გადაიტანოს ერთი ალაგიდამ მეორე ალაგში; ამნაირად გაზეთის შინაარსის გადატანა ერთი-ათად უფრო იაფად დაჯდებაო, ვინემ ახლანდელი ტელეგრაფის საშუალობით გაგზავნაო.

* * * ჩვენ ვნახეთ თუილისის გამოჩენილი პოლიგლოტის ბაბრიელ ტერ-ბაბრიელიანცისაგან შედგენილი „მეთ-მასწავლებელი წიგნი ქართული ენისა“.

„მერთმა დღეგრძელობა მიანიჭოს ამ ბაბრიელ ტერ-ბაბრიელიანცს! ბევრი გვაცინა განსაკუთრებით თავის წინასიტყვაობით! მაგრამ ეს გაცინება იმდენად არა ღირს და თვითონ წიგნი ისე „აუცილებელად საჭირო არ არის, როგორც თვითონ ავტორი გვიმტკიცებს, ყველა პავსიაში მცხოვრებისათვის“, რომ იმაში ათი შაუ რ ი მივსცეთ.

რასაკვირველია, ამ წიგნის გარჩევას ჩვენ არ შეუძლებით; რადგან სანარველო წიგნია, მხოლოდ ნარველო მოვიხსენებთ. მაგრამ თუ რამდენი დოლიკა, როგორი მსჯელობა და რა ცოდნა აქვს ქართულის ენისა ამ სუფიელური წიგნის შემდგენელს, ამის საჩვენებლად ეს რამდენიმე ადგილი წაიკითხეთ იმის „წინასიტყვაობიდან“:

„შოველნი კეთილნი ამ ქვეყანაზედ წარმოდგებიან ნამდვილ კიდურ (?) მდგომელობად (?) სწავლისა, რომელიც მოიპოვების არა სხვებრივ, ვითარცა კითხვისა და წერისა ცოდნით (?). მაშასადამე (?) ნასწავლად შეირიცხების მხოლოდ იგი, ვისა მოქმედებაშიაც ნამდვილად სჩანს კეთილ მსურველობა მოყვასხადმი (?); კაცი მოკლებულის სწავლის ღირსებას (?) მსგავს არს უმეტეს ველისა პირუტყვისა, ვიდრე გონიერისა არსებისა. შეხედეთ ქვეყანასა და მაშინ ნამდვილათ დარწმუნდებით მას შინა, რომელ ყოველი გონიერული განკეთება (?) წამომდგარ არს ხელისაგან კაცისა. ტელეგრაფია (?), რკინის გზები, ორთქლის მაშინები, ჰაეროვანი ბურთი, და სხვანი და სხვანი. სამსჯავრო ცვლილებებიც თავისის წარმოდგენითა ვალდებულნი არიან? სწავლისა (?),

„ბავშვი პირველად იზრდების რძითა, სუსტი აგებულების კაცი, საჭმლებითა რომელიც ადვილად მოსაწვლელი არიან... მნიშვნელობა ჩვენი წიგნისა აიხსნების სრულიად ემ გვარი მაგალითათა (?)...“

წიგნი ესე მრავალთა განაცვიფრებს ენების გინსხვაებითა რომელიც გაჭრელებული არიან პირველსავე სტრანიცაზედ (?). განსხვავებები ესენი პოეზებენ თვის სიმართლესა (?) შეუძლებლობასა შინა რათა ნამდვილად გამოითქოს სიტყვა რომელსავე ენაზედ. მსე მაგალითებ: ჰერაში ვერამი და სხვანი. ჩვენ ვიმედოვნებთ რომელ ამაგი ესე ჩვენი თუმცა იცავს თვის შორის მრავალსა ნაკლებდევანებასა (?) გარნა არ შეიძლება რომელ არა ვითარებე სარგებლობაც არ მისცეს მკითხველთა.

„ახლა მივაქცევთ რა სიტყვასა ჩვენის კრიტიკის მყოფელთადმი (?) რომელთაც წარსულ წლებში დაამტკიცეს ყოველი თვისი უცოდინობა და შეუძლობაები რომელიმე წიგნის რეცენზიისა, მათთვის ვიტყვიტ მხოლოდ ერთსა ანდაზასა შესანიშნავის ულერიელისასა: la critique est facile; mais l'art est difficile! (?)“

მართლა რომ ამგვარი წიგნის („ხელოვნების“!) კრატია ძნელია, რადგან ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ უფ. შაბრიელ ტერ-შაბრიელიანცმა თავის „მთელი - მასწავლებელი“ ქვეყნის გახაცინებელად გამოსცა და არა გასასყიდლად...

თფილისის სამკურნალო

(4-ს აბრილის სახლობრად)

მრეენის მადანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავთმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 8 საათიდან დილისვე 10 საათამდე.

მ. რ. შ. ა. ბ. თ. ს: ექიმი მინიკეიანი — ხირურგიული ავთმყოფობისათვის, მარალეიჩი და ლისიცივი — შინაგანი ავთმყოფობისათვის.

ს. ა. შ. ა. ბ. თ. ს: მერმიშვილი და მარკაროვი — შინაგანი ავთმყოფობისათვის, თამაშვილი — თვალის ექიმი.

მ. თ. ს. ა. ბ. თ. ს: ლისიცივი — შინაგანი ავთ-

მ. თ. ს. ა. ბ. თ. ს: მერმიშვილი — შინაგანი ავთმყოფობისათვის.

ს. ა. შ. ა. ბ. თ. ს: მერმიშვილი — შინაგანი ავთმყოფობისათვის.

პ. ა. რ. ა. ს. კ. ე. ს: ლისიცივი და ასატუროვი — შინაგანი ავთმყოფობისათვის და მინიკეიანი — ხირურგიულიათვის.

შ. ა. ბ. ა. თ. ს: მერმიშვილი და მარკაროვი — შინაგანი ავთმყოფობისათვის, მარკაროვი — ხირურგიული ავთმყოფობისათვის და თამაშვილი — თვალის ავთმყოფობისათვის.

განსხვავებანი

ქუთაისში მიიღებენ ყაფვილშვს

საშუალო სასწავლებლების მესამე კლასამდე მონამზადებულად.

მსურველს შეუძლიან იკითხოს „ძოლხი დის“ სასტუმროში მადამ დიუპონი.

ქალაქის გაგზომობისაგან

თფილისის ქალაქის გაგზომება ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ, თანახმად ქალაქის რევის 20 იენისის გარდაწყვეტილებისა, სავაჭრო პოლიციის თითოეულს ბუდკაში არის ცალკე წიგნი ჩასაწერად საჩივრებისა იმ თფილისის ვაჭრებზე, რომელიც სავაჭრო პოლიციის წესდებებს დაარღვევენ.

(3-3)

ინსპექცია საქმავვილო ბალისა და მასთან ერთად პირველ დაწყებითი სწავლის შკოლისა (უწინ ქაბას მეუღლის) ამით აცხადებს, რომ ორთავე სქესისა და ხალხობის გავრცელებად ყმაწვილების მიღება დაიწყება ამ წლის 20-ს აგვისტოდამ.

იმ ყმაწვილების მშობლები, რომელთაც აქამდისინ თავიანთი შვილები ქაბას

მეუღლესთან ჰყავდათ, თუ რომ მოისურვებენ, შეუძლიანთ ამ 20-ს აგვისტოდამ ხელახლად ჩასწერონ თავიანთი შვილების სახელი და გვარი საქმავვილო ბალის და მასთან პირველი დაწყებითი სწავლის შკოლის სიაში.

საყმაწვილო ბალი და პირველ დაწყებით სწავლის შკოლა 1-ს სექტემბრიდან გადადის მელოამინოვის ქუჩაზე, თ. ნაპალეონ ამატუნის სახლების ქვედა ეტაჟაში.

მისაც ჰსურთ ნიაბარონ თავიანთი შვილები, ინსპექცია თხოულობს 1-ს სექტემბრამდინ მიმართონ — კერძო რეალურ სასწავ. მქონს უ. ტავაკალოვთან, სასწავლებლის სადგომზედვე, რომელიც იმყოფება სადოვის ქუჩაზე, უ. შადინოვის სახლებში, ხოლო 1-ს სექტემბრიდან-პირ და პირ საყმაწვილო ბალის და პირველ დაწყებითი სწავლის შკოლის ინსპექციას თ. ამატუნის სახლებში.

მსათმოს და მხანაიკოსს რუგენ ნაკაშიანს

ტივი პატივცემულ თფილისის საზოგადოებას აცნობას, რომ ის ამყოფება თამბაქოს ფაბრიკანტის უფ. ნიკოლოზ ბოზარჯიანცის მალაზიაში (ლენერალ-მიორის არწრუნის ქარვასლაში, შტაბის გვერდით) და იღებს მასაქმთმებლად საათმოს და საპირავ და აგრეთვე სხვა ყოველგვარ მავინებას.

მაკეთებ აგრეთვე მალაზიებისათვის ფარდებს, მზისაგან დასაფარებელად; ამ ფარდებს ის უპირატესობა აქვს, რომ უსვეტოთ არის გაკეთებული და მენანიკურის ბორბალით შეიძლება იმის აწვევა და დაწვევა.

| რ. გ. ა. | დ. ლ. | ს. ლ. | II კ. | III კ. | ტელეგრაფი | მ. კაპ | ბირჟა | მან. კაპ | მაზანდა | მან. კაპ |
|------------|-------|-------|-------|--------|--|--------|--------------------------|------------------------|----------------------|----------|
| თფილისი | 9 21 | 5 18 | | | მ. ცი სიტყვა თფილისიდან: | | პეტერბურგი, 20 აგვისტოს | | თფილისი, 24 აგვისტოს | |
| მცხეთა | 10 11 | 6 27 | 68 | 38 | ქუთაისს, შოს | 1 | მრთი ანეთი ლის: | შქვ. თეთ. მანჯისა, ფთ. | 1 45 | |
| ბორი | 11 58 | 9 43 | 2 40 | 1 23 | ბორს, დუშეთს, სიღნაღს | 50 | ლონდონში 24 პენსი. | შქვილი წითელი. | 1 30 | |
| ხაშური | 1 29 | 11 57 | 3 92 | 2 18 | როსტოვს, მდესას, მოსკოვს | 2 | პარიჟში 259 სანტიმი. | ქერი ფუთი. | 1 | |
| სურამი | 1 44 | | 4 42 | 2 46 | პეტერბურგს, მარშავს | 2 | მსკონტი (სარგებლისფასი) | ბაჟა მრეენისა, ფუთი. | 6 50 | |
| შვირილა | 5 49 | | 5 81 | 3 23 | მსმალეთში, შევიცარიაში | 3 | ბანკის ბილეთი 5% | — ამერიკისა, ფუთი. | 8 | |
| რიონი | 6 47 | | 6 75 | 3 75 | იტალიაში და საფრანგეთში. | 3 50 | მოგებიანი (პირველისფასი) | ბაჟანტილი ბაჟა ფთ. | 8 50 | |
| სამტრედია | 7 41 | | 7 73 | 4 29 | ინგლისში | 3 75 | მოგებიანი (მეორე სესხი) | მატული თუშური ფთ. | 5 | |
| აჭ. სენაკი | | | 8 57 | 4 76 | ფოტა | | ბირაოს ფურცლები: | — მარაქაშისა ფთ. | 3 40 | |
| შოთი | 9 40 | | 9 75 | 5 42 | ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. | | თფილ. სააზნ. ბანკისა. | აბრეშუმი ნუხური სტ. | 2 | |
| შოთი | 9 13 | | | | ბ) ქუთაისიდან: თფილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. მზურგეთს — ორშ. და პარასკ. | | ხეგონის ბანკის (5%) | ქონი, ფუთი. | 5 | |
| აჭ. სენაკი | | | 1 18 | 66 | წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | | მოსკოვის (5%) | ქონის ხანთელი ფუთი. | 6 40 | |
| სამტრედია | 11 16 | | 2 6 | 1 14 | ლია წიგნის | 4 | აქციები: | სტვარინის ხანთელი, ფ. | 11 40 | |
| რიონი | 12 13 | | 3 4 | 1 69 | დაბეჭდილის (სამი მისხალი) | 8 | მ. დესის სავაჭრო ბანკის | ხორცი ქროხისა, ლიტ. | 54 | |
| შვირილა | 1 18 | ლაჟე | 3 98 | 2 21 | | | შოთი-თფილ. კინ. გზის | — ცხვისა, ლიტრა | 63 | |
| სურამი | 5 12 | 1 10 | 5 33 | 2 96 | | | შავი ზღვის ცეცხ. გემების | სპირტი, გრადუსი | 12 | |
| ხაშური | 5 39 | 1 37 | 5 84 | 3 24 | | | ქავაზის და მერკურის. | შაქარი, ბროც. ფუთი. | 8 | |
| ბორი | 7 5 | 4 8 | 7 36 | 4 9 | | | პირვ. საზღვევ. საზოგ. | — ფენილი ფუთი. | 7 20 | |
| მცხეთა | 8 50 | 6 59 | 9 8 | 5 4 | | | პეტრბ. საზღვევ. საზ. | შავა გრვავლი, ფუთი. | 32 | |
| თფილისი | 9 31 | 7 56 | 9 75 | 5 42 | | | მოსკოვის საზღვევ. საზ. | ზეთი ქუნჯუთისა ფუთი. | 8 50 | |
| | | | | | | | | მქოლ 1/2 იმპერიალი. | 7 80 | |